№1551 2015 წლის 16 ივლისი ქ. თბილისი

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალური მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიების შესახებ

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულების მე-6 პუნქტის შესაბამისად, ნება დაერთოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილ ასიგნებებში განახორციელოს ცვლილება და პროგრამული კოდი: 34 02 01 - არაფინანსური აქტივების ზრდის ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლი, შეამციროს 804 000 (რვაასოთხი ათასი) ლარით და აღნიშნული თანხა მიმართოს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის ფულადი დახმარების გაწევისა და მათთვის საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისათვის, ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**